საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

2025 წლის III კვარტალი

19.11.2025
www.geostat.ge

19.11.2025

საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები
(2025 წლის III კვარტალი)

2025 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტები 2.8 მილიონ მგზავრს მოემსახურა[1], რაც 15.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 1.4 მილიონი მგზავრი (15.4 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 1.4 მილიონი მგზავრი (14.7 პროცენტით მეტი).

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი კაცი)



[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

19.11.2025

2025 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 95.4 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით,
(%)



2025 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 10.8 ათასი შეადგინა, რაც 15.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

სამგზავრო რეისების რაოდენობა,
(ათასი)



19.11.2025

2025 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 9.5 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 93.0 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 7.0 პროცენტი — გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი ტონა)



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით,
(%)



19.11.2025

2025 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში 0.9 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 82.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2025 წლის III კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 247.2 ათასი მგზავრი და გადატანილია 35.0 ათასი ტონა ტვირთი. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 21.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო გადატანილი ტვირთის მოცულობა 49.8 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და გადატანილი ტვირთის მოცულობა



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge